უცნაური ხმებით კითხვა

მოსწავლეები რამდენჯერმე კითხულობენ სხვადასხვა ხმით ნაცნობ ტექსტს, მასზე მოცემული ემოციის შესაბამისად.



კლასი: III-VI

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: ტექსტი მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ემოციის ბარათები, ყუთი/ქილა ბარათების ჩასაყრელად.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს ,,ემოციის ბარათებს''. ეს არის მცირე ზომის ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა ემოციის გამომსახველი ნახატებია მოცემული და მიწერილი აქვს ემოციის შესაბამისი სიტყვა.
- მასწავლებელი ათავსებს ბარათებს პატარა ყუთში/ქილაში და მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ შერჩეულ წასაკითხ ტექსტს.
- მოსწავლეები მორიგეობით ამოიღებენ ყუთიდან ბარათებს და, მასზე მოცემული ემოციის შესაბამისად, კითხულობენ ტექსტს/ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთს.

მაგ., მოსწავლე, რომელსაც შეხვდა ბარათი ,,მომღერალი'', წამღერებით კითხულობს ტექსტს, ,,მყვირალი'' ხმის აწევით კითხულობს სათანადო მონაკვეთს და ა.შ.